№ 52
სამშაბათი, 10 მარტი, 1898 წ.

1877—1898

# ივერია

№ 52
სამშაბათი, 10 მარტი, 1898 წ.

**გაზეთის ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციის და წერა-კითხ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

თ. ილია ჭავჭავაძის იუბილეის გამო ქართველთა ამხანაგობამ მოსახერხებლადა სცნო დააიაფოს მის მიერ გამოცემული თხზულებანი

## თ. ი. გ. ჭავჭავაძისა,

რათა ყველას მისცეს საშუალება მათი შეძენისა.

დაკლებულ ფასად გაიყიდება წიგნები მხოლოდ 12 აპრილამდე და შემდეგ-კი ისევ წინანდელ ფასად გაიყიდება.

პირველი ტომი გაიყიდება . 70 კ.
მეორე „ „ . 60 „
მესამე „ „ . 60 „
მეოთხე (ორი წიგნია) 1 მან. 20 „
და ოთხივე ტომი ერთად 3 მანეთად.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთ გაეგზავნებათ მხოლოდ მაშინ, თუ ფოსტის ხარჯს გამოუგზავნიან ამხანაგობას, I ტომზედ 16 კ., მეორეზედ 16 კ., მესამეზედ 16 კ. და მეოთხეზედ 24 კაპ.

წიგნები ამ ფასად მხოლოდ ამხანაგობის კიოსკში იყიდება.
ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, ალექსანდროვის ბაღის თავში.

(15—6.—1)

### პირველი კერძო სამკურნალო
### ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათ. სადოსტაქარო, ვენერიული (სიფილისი) საშარდეს ავადმყოფობანი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი.**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით და ბავშვების ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** დღით 1½—2½ ს. შინაგანი, ყურის, ყელის და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ა. მ. პუღინოვი.** 6—7 საათ· შინაგან, ბავშვებისა და ნერვებისა.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

**Первая частная лѣчебница** ***Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

(წ)

## ორი დიდად საჭირო და შესანიშნავი საქმე

ამ დღეებში მცხეთაში თავ-მოყრილმა ქართველობამ ორი დიდი და საშვილი-შვილო საქმე განიზრახა. პირველი არის ჩვენის დიდებულის მცხეთის წმიდა ტაძრის განახლება, შეკეთება და გამშვენიერება, მხოლოდ მეორე შეეხება მოზარდ თაობის აღზრდის მკვიდრ ნიადაგზედ დაყენებას. ეჭვს გარეშეა, რომ მცხეთიდგან დაბრუნებული საზოგადოება ამ მოკლე ხანშივე შეუდგება აღსრულებას, როგორც მამა არქიმადრიტი ლეონიდის წინადადებას მცხეთის ტაძრის შესახებ, აგრეთვე თ. ივანე ჭავჭავაძის აზრისას, რომ ამიერიდგან შეურყეველ იქმნას ნიადაგი, რომელზედაც დამყარებულ უნდა იყოს ჩვენში განათლების გავრცელება. ჩვენ ფრიად სასარგებლოდ მიგვაჩნია, რომ ყველამ გამოსთქვას თავისი აზრი, როგორ უნდა მოხერხდეს ზემოხსენებულის საგნების განხორციელება. აზრის სხვა-და სხვაობა უფრო ნათლად დაგვანახვებს ყველას იმ გზას, რომელიც უფრო მალე და ადვილად მიგვიყვანს სასურველს ალაგას. აი, ამ გარემოებამ გამაბედვინა მეც წარმოვსთქვა ორიოდე სიტყვა ხსენებულ საგნის შესახებ.

მცხეთის ტაძარი თავისის სიდიდით და სახუროთ-მოძღვრო სიმდიდრით, ისეთს შენობას ეკუთვნის, რომელსაც საპატიო ალაგი უჭირავს ხუროთ-მოძღვრების ისტორიაში. ყველგან, სადაც-კი მოიპოვება ამ გვარი ნაშთი, ზრუნვითა და მოწიწებით ეკიდებიან იმას. მთელი კომიტეტები და მრავალ რიცხოვანშტატები არსებობს, რომელთა ერთად-ერთ მოვალეობას შეადგენს ყოვლის მხრივ შეისწავლონ მათდამი რწმუნებული და შესანიშნავი შენობა, როგორც ისტორიულად, ისე ტეხნიკურად, რომ ყოველთვის მზად იყვნენ გაფუჭებული ალაგები გააკეთონ და გასამშვენიერებლები გაამშვენიერონ. მრავალ წევრთა-კომიტეტები იმიტომ არის დაარსებული, რომ ყოვლად შეუძლებელია ერთმა ან ორმა ადამიანმა შენობასაც ადევნოს თვალ-ყური, დროზედ მიეშველოს გაჭირვების დროს და ღონისძიებაც ჰქონდეს ამ შველისთვის.

ყველგან ასეა, მაგრამ ჩვენში-კი არა. მცხეთის ტაძარი სხვაგან რომ იყოს, საზოგადოება მარტო მღვდლის ამარად-კი არ დასტოვებდა, არამედ შეადგენდა წარჩინებულ და მცოდნე კაცთა კომიტეტს, რომელიც ცოდნითა და სიყვარულით მოეკიდებოდა ამ საქმეს. აბა, რა მოეთხოვება სოფლის მღვდელს, პატარა მრევლის პატრონს. ვინ უნდა იყოს ისეთი, რომ მივიდეს და უთხრას: რატომ მცხეთაში ის არ მოგიხერხებია, რასაც სხვაგან მთელი კომიტეტები ახერხებენო—ინჟინრების, ხუროთ-მოძღვრების, ისტორიკოსებისა და ფულის დახმარებითაო. თუ რომ მართლა გვსურს სწორე ნიადაგზედ დავაყენოთ მცხეთის ტაძრის განახლების საქმე, ჩვენც ასე უნდა მოვიქცეთ, როგორც სხვაგან იქცევიან და თავიდგან უნდა განვიშოროთ ის აზრი, ვითომც ერთს კაცს, ან ორს, შეეძლოთ ამგვარის დიდის საქმის გაძღოლა.

აუცილებლად საჭიროა მცხეთის ტაძრის მზრუნველობა ჩაებაროს მთელს კომიტეტს. რიცხვი კომიტეტის წევრებისა შეიძლება 20—25 ავიდეს. იგი უნდა იმყოფებოდეს და ჰმოქმედებდეს ქ. ტფილისში და მისნი წევრნი უნდა იყვნენ ჩვენის ქვეყნის ყველა კუთხის წარმომადგენელნი. ამ კომიტეტმა უნდა ამოირჩიოს თავის წევრთა შორის სატეხნიკო კომისია (3—5 წევრი), რომლის მოვალეობასაც უნდა შეადგენდეს ადევნოს თვალ-ყური მცხეთის ტაძარსა და შენობათა გეგმა შეიმუშაოს. ამ კომისიასთან მუდმივ უნდა იმყოფებოდეს ერთი ხუროთ მოძღვარი, წლიურად დაქირავებული. ყოველი აზრი შენობის შეკეთების შესახებ ამ კომისიამ უნდა მოახსენოს კომიტეტს, რომელიც ამ შემთხვევაში უნდა წარმოადგენდეს საზოგადო კრებისა და იმის თანხმობის მოქმედებას. კომიტეტის მოვალეობას უნდა შეადგენდეს, სხვათა შორის, ფულის შეგროვებაც. ამ რიგად ტეხნიკურ კომისიის გამოკვლევითა და მოსაზრებით უნდა შესდგეს ხოლმე დაწვრილებით გეგმა, თუ რა და რა მუშაობა უნდა აღსრულდეს. ხოლო კომიტეტი ნებას რთავდეს და ფულს აძლევდეს. ამ ორგანოების მოქმედება მუდმივი უნდა იყოს, რადგან დიდებულ ტაძარს მუდამ დასჭირდება შეკეთება და ზოგიერთის ადგილების განახლება. პირველს ხანებში კომიტეტისა და სატეხნიკო კომისიის მოქმედება მხოლოდ იმას შეეხება, რომ შენობა დაცულ იქმნას დანგრევისაგან. ხოლო როდესაც ამ მხრივ ტაძარი უზრუნველ-ყოფილი იქმნება, მაშინ კომიტეტის ზრუნვას უნდა შეადგენდეს (მეორე ხანა მისის მოქმედებისა) ტაძრის გამშვენიერება და აღდგენა ისტორიისა და საეკკლესიო ხელოვნების მიხედვით.

აი, ჩვენის აზრით, ის გეგმა, რომელზედაც უნდა აიგოს მცხეთის ტაძრის განახლებისა და გამშვენიერების საქმე. ვიმეორებთ, შეუძლებელია კერძო ადამიანთა მეთაურობასა და მხნეობას მიენდოს ეს დიდი და საშვილიშვილო საქმე. აქ მთელი ორგა-

# ფელეტონი

### მცირე მოგონება ალექსანდრე ყაზბეგზედ *).

როგორც დღეს, ისრე ყაზბეგის დროს და კიდევ წინათაც ლანძღვა და უპატიურად ხსენება ჩემი და ჩემთა ნაწერთა ჩვენს მწერლობასა და მის მიმდევრობაში დიდი მოდა იყო. ვინც სამწერლოთ კალამს აიღებდა და პირველად ჩემსკენ ერთს წიხლს მაინც არ გამოისვრიდა, ის არც მწერლად და არც ქვეყნის ერთგულად თავს ღირსად არა ჰხადიდა.

ერთი დიდი წინაამდეგი ჩემი და ჩემთა ნაწერთა იყო განსვენებული ალექსანდრე ყაზბეგი. იმისი წინაალმდეგობა ჩემს შესახებ იქამდის მივიდა, რომ ოჯახებსაც-კი უკრძალავდა ანტონ ფურცელაძის ნაწერებს რათ ინახავთო, და, როდესაც ერთგან ჰკითხეს, რა სწერია იქ ისრეთი, რომ აგრე სდევნიო, უპასუხა: „ეშმაკებმა იციან და ქაჯებმა, რა სწერია! განა იმის ნაწერებს წავიკითხავ მეო!"

ყველა ეს ვიცოდი, ყველა მესმოდა. ცხადია, რაც გინდა დიდი ფილოსოფიური აზრით ალკაზმო შენი გონება და ეცადო შენთა გულის თქმათა ალაგმვას, მაინც შენი ძარღვები არ გამოლევენ შენს გულში შენი ამგვარი მოწინაალმდეგის ხინჯსა და სინჯსა.

ამასთან მე ვიცნობდი ყაზბეგს პატარაობიდამვე, ვიცოდი რა აღზრდაცა ჰქონდა, რა გზაზედაც იყო დაყენებული. დედის ერთა ნებიერი, დიდკაცურს ფუფუნებასა და სისივავობაში გაზრდილი, ხოჭიჭიდამვე ლამაზს გამდლებში გართული, რომლის ვნებას თვითონაც სჩივოდა ბოლოსა და ბოლოს, არ ესმოდა რა არის ცხოვრება, არ იყო შეჩვეული საქმეს და ეგონა ქვეყანა სანებივროებით იყო აღვსილი და ყველაფერი მოდიოდა თავის თავად, უშრომლად, გონების გაუნძრევლად. სიტყვით, იყო აღზრდილი, როგორც სდის ჩვენი დიდკაცობა თავის შვილებს. ვიცოდი, აგრეთვე რაც მიიღო რუსეთში, სადაც ეს წავიდა ვითომც და სასწავლებლად და სადაც ის აიყოლიეს იქაურმა მდიდარმა და დიდი კაცის ქალებმა, და გამოისტუმრეს იქიდამ მთლად მოშლილი, ჩაფუშული სახით, მოშვებული ტანით, მოღებული ჯანით, ჩამქრალი თვალებით. ასრე რომ, დაბრუნებული თავის ქვეყანაში ის აჩრდილიც აღარ იყო იმ მშვენიერი, ცოცხალი და მალხაზი ყაზბეგისა, რომელსაც ჩვენ ვიცნობდით წინათ.

ყველა აქედამ ცხადად დაინახავს მკითხველი, რომ მე არც გულით და არც გონებით არ ვიქნებოდი ყაზბეგზედ კარგი აზრისა.

ამ ჩემს აზრსა და შთაბეჭდილებას დაერთვნენ კიდევ შემდეგნი გარემოებანი.

შემდეგ მშობლების დახოცვისა ყაზბეგმა მიიღო ბოლო მამისა და დედის აუარებელს სამკვიდრებელს. ის დარჩა უსახსრო. ამ ხანებში ის ჩავარდა თავისი ბიძაშვილების ოლგა და ლიზა ყაზბეგის ქალების განვლენაში. ეს ორნი პატივცემულნი დანი იყვნენ იმ დროის ინტელიგენტურს წრეებში ერთი უკეთესი მოღვაწეთაგანნი. იმათ გარიეს სანდრო ამ წრეებში. სანდრო გაიტაცეს ამ საზოგადოებაში აღძრულთ აზრთ, მისმა აზროვნებამ, მსჯელობამ, მოქმედებამ. ამავე ბიძაშვილთ გარიეს სანდრო სცენის მოყვარეებში **), მიანდეს საქმე, მისცეს როლები,ააყოლეს ფეხის ხმას. აქ იმან დაიწყო წიგნების კითხვა, უფრო დრამული ხელოვნებიდამ და ბელლეტრისტიკიდამ. ყაზბეგმა იცვალა ფერი. დაიწყო პიესების წერა. მაშინ ერთ მოთავეთაგანი სცენის მოყვარულთა ვიყავი მეცა. სანდრომ წამაკითხა თავისი პიესები. თუმცა ეს პიესები მაშინდელი ავტორების პიესებზედ თუ უკეთესნი არა, უარესები არ იყვნენ, მაგრამ მაინც დიდს არას წარმოადგენდნენ. ისტორიული პიესები ხომ სრულს უვიცობას ამტკიცებდნენ ავტორისას. მე ჩემი აზრი უთხარ სანდროს. მასუკან აღარა წაუკითხავსრა იმას ჩემთვის, და დავშორდით კიდეც ერთმანეთს ბევრი ხნობით. ის სწერდა ბევრს. ყურს არავინ უგდებდა, რადგან იცნობდნენ იმის წასრულს, იმის აღზრდას. მწერლობას ეჭირა აბუქათ, როგორც ერთხანად აკაკი. ბოლოს, როგორც მახსოვს, მიაქცია ამას ყურადღება განსვენებულმა სერგეი მესხმა. გავიდა ხანი და ყაზბეგი გახდა მუდმივი თანამშრომელი „დროებისა" მაჩაბლის რედაქტორობის დროს. მე ვიდექი ისევ იმ აზრზედ, რომ ნაზარეთიდამ კეთილი არა გამოვიდოდა-რა. ყაზბეგს არა ვკითხულობდი. ამ დროს გამოვიდა იმისი, ვგონებ, „ელგუჯა". აღარ მახსოვს, რომელიღაც ქართულს ჟურნალსა თუ გაზეთში გაარჩიეს ეს ნაწერი. ამ გარჩევის ავტორი დიდი ალტაცებითა სწერდა ამაზედ. ნიმუშად ამ ნაწერის დიდნიჭიერებისა მოჰყავდა ამ თხზულებიდამ ალაგები. ეს ალაგები ისრე უფერულები და უალაგონი იყვნენ ჩემს თვალში, რომ უფრო დამამყარეს იმ აზრზედ, რომ ყაზბეგის ნაწერები წაკითხვად არა ჰღირდნენ. ***) წამიკითხა ყაზბეგმა თავისი პიესები და არ მომეწონნენ, წავიკითხე იმისი ბელეტრისტიკული ნაწერის გარჩევა

*) ვბეჭდავთ ამ საინტერესო წერილს, თუმცა ყველაფერში ვერ ვეთანხმებით ავტორს. რედ.

**) მაშინ მუდმივი ტრუპა ჯერ არ იყო. ამ სცენის მოყვარეთ ჩაუყარეს საფუძველი მუდმივს სცენას.

***) ერთს ამგვარს ქების კრიტიკას ვკითხულობთ „ივერიის" ფურცლებზედ დღეს, როდესაც ეს წერილი მიმაქვს რედაქციაში, ესე იგი 27 თებერვალს 1898 წ., სადაც არის გარჩეული რომანი ანასტ. ერისთავისა „მოლიპულს გზაზედ".

ნიზაციაა საჭირო და აი, ჩვენც წარმოვადგინეთ პროექტი ამნაირის ორგანიზაციისა. საჭიროა ამის შესახებ სხვებმაც წარმოსთქვან თავიანთი აზრი, რათა უფრო ნათლად დავინახოთ სწორე გზა.

რაც შეეხება ჩვენთა შვილთა აღზრდა-განათლების საქმის უკეთეს ნიადაგზედ დაყენებას, ამის გამო შემდეგ გვექნება საუბარი.

№

## მთავრობის განკარგულებანი

ებოძა სამსახურის წელთა შესრულების გამო ტიტულიარნი სოვეტნიკობა სარაყამიშის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის უფროს არჯევანიძეს.

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 9 მარტს, ტფილისის ქალაქის მოურავმა ბ-ნმა გ. გ. ევანგულოვმა მიიღო სტავროპოლის ქალაქის მოურავისაგან ქაღალდი, რომელშიაც ატყობინებს სტავროპოლის საბჭოს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რა შემწეობა უნდა აღმოუჩინოს სტავროპოლმა მომავალ ტფილისის პოლიტეხნიკუმს. ქალაქის მოურავი სწერს, რომ სტავროპოლის საბჭომ სასურველად დაინახა, რომ ტფილისში პოლიტეხნიკუმი იქმნას დაარსებული და აგრეთვე ის აზრი გამოსთქვა, რომ სტავროპოლმა შეძლებისამებრ ფულით დახმარება უნდა აღმოუჩინოსო. მაგრამ რადგანაც წელს ქალაქი უფულობით ძალიან გაჭირვებულია, ვერაფერს გადასდებს ამ საქმისათვისაო. შემდეგისთვის კი საბჭომ მიანდო გამგეობას მომავალი 1899 წლის ხარჯ-აღრიცხვის შედგენის დროს განიხილოს ეს საგანი და თუ შესაძლებლად დაინახა, შეიტანოს ამ ხარჯ-აღრიცხვაში ის ფული, რომელიც გადაიდება პოლიტეხნიკუმისათვისაო.

*** გუშინ, 9 მარტს, კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწემ ა. ა. ფრეზემ და ტფილისის პოლიცმეისტერმა ლ. პ. მასტიცკიმ დაათვალიერეს ღამის სათევი თავ-შესაფარი ვარანცოვის ქუჩაზედ და დღეს, 10 მარტს, მთავარ-მართებლის თანაშემწე დაათვალიერებს ქალაქის სამკურნალოს.

*** ქალაქის გამგეობის მოხსენებიდგანა სჩანს, რომ მეორე ღამის თავ-შესაფარი მზად არის და 15 მარტს აკურთხებენო.

*** ამ ჟამად სამხედრო სამინისტრო ყოველ-გვარ ცნობებსა ჰკრებს კავკასიის სამხედრო ოლქის სასწავლებლების ყოფა-მდგომარეობის შესახებ. ამ ცნობებით სამინისტრო ისარგებლებს კავკასიის სასწავლებლებში განზრახულ ცვლილებათა შემოღების საქმის განხილვის დროს.

*** ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულთან მოლაპარაკების თანახმად განკარგულება მოახდინა, რომ რაკი ფილოქსერასთან საბრძოლველ განკარგულებათა სისრულეში მოსაყვანად დანიშნულ იქმნენ საფილოქსერო კომიტეტის აგენტები: ქუთაისის გუბერნიაში — კლიმიაშვილი და ტფილისისაში - ქრისტეფორე მეწულოვი, ვლადიმირ პეროვი და რომანოზ ფანცხავა, ამიტომ ამ აგენტებს ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინეთ, როდესაც ისინი დაათვალიერებენ მატარებლების ოთახებსო. ნება არ მისცეთ იმ ადგილებიდგან, სადაც ფილოქსერა გავრცელებულია, ვაზის ტოტები, ყლორტები და სხვა რამ მატარებლებით სხვაგან გადაიტანონ.

*** რადგანაც საკმაო რიცხვი წევრებისა არ შეიკრიბა, ტფილისის სასოფლო საურთიერთო კრედიტის საზოგადოების კრება კვირას, 7 მარტს, არ შესდგა და 22 მარტისთვის გადაიდო.

*** 6 მარტს ხელოსანთა გამგეობის დარბაზში საერთო კრება ჰქონდათ ტფილისის ხელოსანთ. კრებას უნდა გამოერკვია ხელოსანთა გამგეობის შესანახად საჭირო ხარჯის რაოდენობა. კრების დაწყებისათანავე რამდენმამე დეპუტატმა (ნემენცთა და ებრაელთ) ხმა მაღლა განაცხადა, რომ ამ აზრით განსაკუთრებული კომისია უნდა დაარსდეს და საერთო ყრილობის საქმე არ არის ამ ანგარიშის შედგენაო. მოურავმა მოახსენა, რომ საჭირო არ არის კომისიის დაარსებაო. დაუწყეს ერთი ერთმანეთს თავიანთ აზრის დამტკიცება, ახმაურდა ხალხი, გაჩნდა ყვირილი, აღელვებულმა დეპუტატებმა მუშტებით დაიწყეს წევა ერთი ერთმანეთზედ, ასე რომ იძულებული გახდნენ პოლიცია მოეწვიათ და კრება ისე დაეშალათ.

*** აზრადა აქვთ, ამ თვეში 50 მან. და 100 მანეთიან ქაღალდის ფული გამოსცენ სახმარებლად.

*** მკურნალს ვ. მ. მახვილაძეს თავისს სურვილისამებრ ნება დაერთო სამკურნალო დახმარება აღმოუჩინოს უფასოდ ტფილისის ყოველ სამრევლო სასწავლებლის მოსწავლეთ. ბ-ნი მახვილაძე მოსწავლეთ სახლშიაც მიიღებს მუდამ დღე ჯეროვან დახმარების აღმოსაჩენად მსურველთათვის.

*** საქართველოს საეპარქიო მთავრობა მადლობას უცხადებს ქვრივს ევგენია გამრეკელიშვილისას, რომელმაც 200 მანეთი შესწირა მამადავითის ეკკლესიას.

*** ტფილისის რეალურ სასწავლებლის დაბალი კლასები სხვა სადგომში გადაიტანეს და დანარჩენი კლასები გააფართოვეს. სასწავლებლის მთავრობამ გადასწყვიტა ახალ სადგომში ეკკლესია აავოს.

*** 10 მარტს ქ. ახალციხეში დაიწყებს მოქმედებას ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილების სესსია. ახალციხიდგან სესსია ქალაქ. ახალ-ქალაქში გადავა.

*** პეტერბურგში კავკასიის სავაჭრო-სამრეწველო ბანკის დაარსების საქმე, რომელსაც განყოფილებანი ექმნება ქ. მოსკოვსა, ნიჟეგოროდსა და ტფილისში, აპრილის თვეში იქმნება თურმე გამორკვეული.

*** შინაგან საქმეთა სამინისტრომ გარდასწყვიტა, ქ. ახალციხეს 1898—1900 წ. აძლიოს მუდამ წელს 7,500 მან. და ერთხანობით 3,000 მან. ამ ქალაქში მყოფ ჯარის სადგომების მხრივ უზრუნველ-საყოფელად.

*** 7 მარტს, ნაშუადღევს 1 საათზედ, ქუთაისის ოლქის სამხედრო სასამართლომ დაამთავრა იმათი საქმის განხილვა, რომელთაც მღვდლის ტყემალაძის მოკვლა და გაძარცვა ჰბრალდებოდათ. სასამართლომ ბრალდებული თედეშვილი გაამართლა და დანარჩენ სამს კაცს-კი ჩამორჩობა მიუსაჯა.

*** გაზ. „СВѢТЪ“-ი სწერს, რომ კავკასიაში საეროზო ცვლილებათა შემოღების საქმეს პეტერბურგში აპრილის გასულს განიხილავენო.

*** 7 მარტს არტისტთა საზოგადოების დარბაზში ნაფიც ვექილად ნამყოფს, ტფილისის ახალს მოურავს ბ-ნ ევანგულოვს ნაფიც ვექილთ სადილი გაუმართეს. სადილი ოთხ საათზედ დაიწყო. რასაკვირველია, სადილმა „ურეჩოდ“ არ ჩაიარა, სხვათა შორის, ერთმა დამსწრეთაგანმა თავისს სიტყვაში სთქვა, რომ სასურველია ბ-ნმა ევანგულოვმა ახალ თანამდებობის დროს ერთნაირი ყურადღება მიაქციოს როგორც „სოლოლაკის“, აგრეთვე „ნაძალადევის“ მცხოვრებლებს და ამ უკანასკნელთა საჭიროებაც არ დაივიწყოსო. თავისის მხრივ ბ-ნმა ევანგულოვმა მიუგო, რომ მე ისეთი „ბურჟუა“ არა ვარ, როგორც სხვებსა ვგონივარ. ჩემთვის ერთნაირად ძვირფასია ტფილისის საზოგადოების ყოველის ნაწილის ინტერესები ეროვნების განურჩევლადაო.. ღმერთმა ჰქნასო! დასძენს ამ ამბავს გუშინდელს ნომერში გაზეთი „კავკასი“.

*** გაზ. „კავკასის“ სიტყვით, ახლად დანიშნული საქართველოს ექსარხოსი ფლავიანე 8 ან 9 მარტს ვარშავიდგან პეტერბურგში წავა და იქიდგან 27 ამავე თვეს ტფილისში ჩამოვა.

*** გაზეთ „კავკასს“ პეტერბურგიდგან დეპეშით ატყობინებენ, რომ ბაქოს საპატიო მომრიგებელმა მოსამართლემ გაჯი-ზეინალ-აბდინ ტაგიევმა გაუგზავნა 11,000 მ. მაჰმადიანთა საქველ-მოქმედო საზოგადოების დამაარსებელს სულთან ვალი-ხანს ამ საზოგადოების ფონდის დასაარსებლადაო.

*** პეტერბურგიდგანვე ატყობინებენ დეპეშით გაზ. „ახ. მიმ.“, რომ გამოქვეყნებულ იქმნა ბრძანება კავკასიაში საფინანსო გამგეობის ცვლილებათა შესახებაო.

*** გაზ. „ახ. მიმ.“ სიტყვით მთავარ-მართებლის საბჭომ მოიწონა, რომ ამიერ-კავკასიის მხრის გლეხთა საქმეთა საკრებულოებს საკანცელიარო ხარჯის ფული მოემატოს და აგრეთვე გაუქმებულ იქმნას ქუთაისის გუბერნიის სამი მომრიგებელი სასამართლო, სახელდობრ ქუთაისისა, ოზურგეთის და რაჭის მაზრებში.

*** იმავე გაზეთს სწერენ ქუთაისიდგან: „ტფილისის სამოსამართლო პალატის ბრალდებელისაგან ქუთაისის გუბერნიის სამმართველომ მიიღო ქაღალდი ქუთაისის პოლიცმეისტერის კ. ი. სვიმონოვის, სასჯელთა დებულების მე-362 მუხლის ძალით სამართალში მიცემის შესახებ დაფინე ჯოხაძის საქის ოქმში განგებ ცრუ ცნობების მოთავსების გამო. საქმე შემდგარია მხოლოდ იმის გამო, რომ საგუბერნიო მმართველობას ჯერ დადგენილება არ შეუდგენია, სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესდების მე-1,085 მუხლთამებრაო“.

*** ტფილისის მოქალაქე იაგორ მაისურაძემ განუცხადა პოლიციას, რომ ჩემს შინ არ ყოფნის დროს კამოდიდგან მომპარეს სხვა და სხვა ძვირფასი ნივთი 1220 მანათად ღირებულიო. ეჭვი მაისურაძემ მიიტანა

---

და ამ გარჩევიდამ უფრო ცუდს აზრზედ დავდექ.

ამგვარს აზრსა და შთაბეჭდილების განვლენის ქვეშ ვიყავ ყაზბეგზედ, როდესაც მე მომიხდა ერთხელ სამსახურის გამო წასვლა ერევანს. ეს იყო ზამთარში, თუ არ მახსოვს ზამთრის პირად. მაშინ ბაქოსკენ ჯერ რკინის გზა არ იყო. ტფილისიდამ ერევნამდის უნდა მევლო ფოჩტის გზით. ორი კვირე მეტი უნდა ერევნის გზასა და თვით ერევანში დავრჩენილიყავ. გზათ სტანციებში და უცხო ქალაქ ადგილას გოსტინიცებში მარტო გდება დიდათ მოსაბეზრებელია. უნდა რამე აიჩინო გასართობი. მაშინ არ წამეკითხა ჯერ სახელოვანი რუსის ბელეტრისტის ტურგენიევის ბოლონდელი ნაწერები. წავიღე ისინი თან. დარჩენილი მარტო, გაურთობლად ყრუ სტანციებში, მე მთელი ჩემი გულის ყურით და გონებით დავეწაფე ამ ნაწერებს. მაგრამ წარმოიდგინე, მკითხველო, ჩემი, რუსებისა არ იყვეს, „რაზოჩაროვანიე“. ტურგენიევი, ეს სახელი და დიდება რუსის მწერლობისა, ჩემს თვალში უცებ გადმოეშვა თავისი მაღალი საფეხურიდამ. ჩაკვირვებით წაკითხვამ, წაკითხვამ იმ ხანსა და გამოცდილებაში, როდესაც ავტორიტეტს აღარა აქვს შენს გონებაზედ ისრეთი ძალა და განვლენა, როგორც ნორჩობის დროს, მე დამარწმუნა, რომ ტურგენიევს არა აქვს შეგნება ახალთა აზრთა, ცხოვრების ახალთა მოთხოვნილებათა, ახალთა მომქმედთა პირთა, რომელნიც ასულდგმულებენ მომავალს, აცხოველებენ პროგრესისა და წარმატების სურვილს, აღძრამენ აზრთა წადილთა და საქმეთა. მისი გონება ვერ მისწდომია დიდს აზრს, დიდთა მოქმედთა პირთა, დიდს ბუნოვნებას. ხელოვნების მხრივაცკი, როგორც პლასტიკი ხუდოჟნიკი, რომლითაც ის ასრე ქებული იყო, აღარ მეჩვენა ისრე დიდებულად, როგორც მეჩვენებოდა წინად. ამ წაკითხვიდამ ტურგენიევი მეჩვენა მოშურნეთ, ცილის მწამებლად იმ საქმისა და პირთა, რომელნიც ამ ხანებში ასულდგმულებდნენ სიცოცხლისა და წარმატების მოსურნე რუსეთს.

დავბრუნდი თბილისს. თან ჩამომყვა სწორედ ერთად-ერთი მანეთი.

იმავე დილით მიველ ჩემს სამსახურში. იქ დამხვდა სანდრო ყაზბეგი. დამინახა თუ არა, მტაცა ხელი.

— კაცო! რატომ არა ჰყიდულობ ჩემს თხზულებასა! — შემძახა იმან საყვედურით.

— რა თხზულებას? — შევეკითხე მე.

— „მოძღვარს“.

— განა გამოვიდა? სად იყიდება?

— აი, აქა მაქვს! — და მომაჩეჩა წიგნი ხელში.

— რა ჰღირს?

— მანეთი.

ამოვიღე ის ერთათ ერთი მანეთიც და მივეცი.

წავიღე წიგნი და ვიფიქრე, მოდი ერთი და შეუდგები კითხვასა. ჩაუჯექ იმავე საღამოთი წიგნს. შეუდეგ კითხვას მოღალულ-მოქანცული პერეკლადნოებით თრევისაგან, ორი სამი კვირის ნამგზავრი, როდესაც აღარც გონებას ჩაკვირვებისა, აღარც ჯანს სიფხიზლისა ძალა აღარა აქვთ. შეუდექი კითხვას, შემდეგ დიდებული ტურგენიევის წაკითხვისა, რომელსაც იმოდენა წუნი დასდო ჩემმა გონებამ, შეუდექი ვისი ნაწერების კითხვას? — ქართველი მწერლისა, ისიც ვისი? — ყაზბეგისა, რომლისაც წასრული და გონების გახსნილობა ასრე კარგათ ვიცოდი მე და რომელიც ასრე უწყალოდ მდევნიდა მეცა და ჩემთა ნაწერთაც. შეუდექი კითხვას, დარწმუნებული, რომ მესამე გვერდზედვე შევდგები და გადვისვრი წიგნს. მაგრამ! მაგრამ, დავიწყე კითხვა და ჩემი გონება თანდათან რაღაცა უცნაური მოთილისმური ჯაჭვით ჩაეკრა წიგნს და წავიდა მის აზრთა და მხატრობათა სიღრმეში. სტრიქონები სტრიქონებს, გვერდნი გვერდთ გასდევდნენ, და მე დამავიწყდა ძილიც, მოსვენებაც. მე აღარ ვიყავ ჩემს საწერს სტოლთან: ჩემი მოჯადოებული გონება, თვით მთლათ ჩემი არსება გადავიდა იმ ცხოვრებაში, იმ ბუნებაში, იმ აზრთა მიმდინარეობაში, რომელთაც გვიხატავდა ავტორი და რომელნიც სულ ახალ-ახალი სანახაობაებით, სხვა-და-სხვა ცვლილებით უფრო და უფრო იტაცებდნენ ჩემს გონებას. ამ დროს მე თვით გავხდი მმოძრავი და მმოქმედი პირი ამ ჯადოქრის კალმით დახატული ცხოვრებისა; მე თვით გავხდი მოწამე და თვალით მნახველი ყველა მისი, რასაც გვიხატავდა და გვეუბნებოდა ავტორი; მე ვხარობდი მომქმედთა პირთა სიხარულით, ვიტანჯებოდი მათი სატანჯველით. მესმოდა ყურთა ზუზუნი და წუწუნი ზამთრის სუსხიანი ქარისა მთის ფრიალოებსა და ხეობებში, ტანში მივლიდა სიცივის ჟრიანტელი, როდესაც დევნილი ქვეყნით მაყვალა, ნახევრად ტიტველ შიშველი ეძებს და სცდილობს მოეფაროს მყუდროს, შეწუხებული ზამთრის ტეხვრისა და სიცივისაგან. ვხედავდი მთიულთა ცხოვრებას, მათს ძველად დარჩენილს ქართულთ ადათ-ჩვეულებათა, რომელთაც მარტო თავისუფალს, ბატონობისაგან დაუჩაგვრელს მთის ერშიდა შეუნახავს თავი. ვხედავდი მთიულთა ზნე-ხასიათს, მათს შეხედულობას ცხოვრებაზედ. დაიკარგა ჩემთვის ძილი. მოატანა გათენებამ და გავათავე წიგნიც.

გავათავე წიგნი და ჩავფიქრდი.

მე, როგორც მოგეხსენებათ, ჩვენს მწერლობაში ვითვლები დიდ წუნია მწერლად, რის გამოც ასრე უწყალოთ აღიმართა ჩემზედ უცხო და მეცნიერი, უნიჭო და ნიჭიერი. აქკი უცებ ჩემს აღტაცებას, ჩემს განცვიფრებას აღარა ჰქონდა საზღვარი.

ანტონ ფურცელაძე

(დასასრული იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თივისს მსახურზედ, ფურცელაძეზე, რომელიც პოლიციამ უკვე დააპატიმრა.

*** 8 მარტს, საღამოს 9 საათზედ, კირკის ქუჩაზედ პოლიციამ ახლად დაბადებული ბავშვი იპოვა. ბავშვი აღსაზრდელად აიყვანა ტფილისის მოქალაქემ ალექსანდრე აბულიანცმა.

*** სასანიტარო ინსპექტორის მიერ წარდგენილ ცნობებიდგანა სჩანს, რომ ტფილისში 1 მარტიდგან 9 მარტამდე გადამდების სენით ავად გამხდარა: ყვავილით—9, სახადით—3, წითელით—5, ქუნთრუშით—8, ხუნაგით—1 და ჩუტ-ყვავილით 1.

*** შაბათს, 7 მარტს, საღამოს 10 საათზედ, მადათოვის კუნძულზედ, მარიამ კისელევის ლუდხანაში შემდეგი საზარელი მკვლელობა მოხდა. ამ ლუდხანაში ტობოლის გუბერნიის გლეხი თეოდორე ლაგუნინი შესულა და ლუდი მოუთხოვნია. ლუდი ახალგაზდა ქალს ნადეჟდა გავრიუშინს მიუტანია, რომელიც რამდენისამე დღის წინად დამდგარა ამ ლუდხანაში დახლიდრად. ამ დროს ლუდხანის პატრონი კისელევისა გარეთ გასულა, ასე რომ ოთახში მხოლოდ გავრიუშინისა და ლაგუნინი დარჩენილან. როდესაც ლაგუნინს რამდენიმე ქიქა ლუდი დაულევია, რევოლვერი ამოუღია ჯიბიდგან და ქალისათვის უსროლია. ტყვია ქალს პირდაპირ თავში მოჰხვედრია და იქვე წაქცეულა. ხმაზედ კისელევი შემოვარდნილა, ლაგუნინს იმისთვისაც უსროლია რევოლვერი და ალაგობრივვე მოუკლავს. შემდეგ პოლიციელები შეკრებილან და მკვლელი შეუპყრიათ. კისელევის გვამი საანატომიო თეატრში წაიღეს, ხოლო გავრიუშინი, რომელიც მხოლოდ დაჭრილი აღმოჩნდა, მიხეილის საავადმყოფოში წაიყვანეს. საწყალი ქალი მხოლოდ მეორე დღეს, 8 მარტს, მოიყვანეს გონს. ექიმების აზრით, გავრიუშინის სიცოცხლე განსაცდელშია. დაპატიმრებულმა ლაგუნინმა განაცხადა, რომ გავრიუშინი რამდენისამე თვის წინად გავიცანი და სიტყვა მომცა, ცოლად გამოგყვებიო. ხოლო ამ ერთის კვირის წინად წამეჩხუბა და ცოლობის უარი განმიცხადაო. ამის გამო იმის მოკვლა გადავწყვიტეო. კისელევისა-კი შემთხვევით მოვკალი, გაჯავრებული ვიყავი და აღარაფერი მესმოდაო. საქმე გამომძიებელს გადაეცა.

*** სოფ. დვაბზუ, (გურია). არ იქნა, ვერ ვეღირსეთ მოსვენებას. დღე ისე არ გაივლის, რომ ვისმეს სახლი და ან ბეღელი არ გაუტეხონ. სხვათა შორის თებერვლის გასულს ერთ მჭედელს გაუტეხეს სახლი და მოჰპარეს ხუთ თუმნად ღირებული გრდემლი. ეს იყო ამის მაცხოვრებელი და ეხლა არ იცის საცოდავმა, რა გააკეთოს.

## ტფილისის ვაჭართა საზოგადო კრება.

კვირას, 8 მარტს, ტფილისის საბჭოს დარბაზში საზოგადო კრება იყო ტფილისის 1-ლ და 2-რე გილდის ვაჭართა. თუმცა ტფილისში 1-ლი და 2-რე გილდის ამღები 897 ირიცხება, მაგრამ ამისდა მიუხედავად, კრების თავმჯდომარემ ბ-ნმა დავიდოვმა კანონიერად სცნო, რომ კრება დაეწყო 50 კაცის თანადასწრებით. ზოგიერთები შეეკითხნენ ბ-ნს თავმჯდომარეს: განა კანონიერი იქნება ეს კრება, როდესაც 897-დგან 50 კაციაო. ამის საპასუხოდ ბ-ნ თავმჯდომარემ ბრძანა, რომ ჩვენ ძველადაც ასე ვჩადიოდით და ახლაც ასე ვიქცევითო, მაგრამ კრების უკანონობის შესახებ-კი არავის არა უთქვამს-რაო, და მაშასადამე, დღევანდელი კრებაც უნდა კანონიერად ჩაითვალოსო.

კრება დაიწყო შუადღის 12 საათზედ.

საზოგადოებას მოხსენდა შემდეგი ანგარიში:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| იანვრის 1-ლ რიცხვიდგან შემოსული იყო ბარათებით 91—პირველ გილდის ამღებისაგან (თითო-ეულისაგან 36 მან.) | 3276 | „ |
| 806—მეორე გილდის ამღებთაგან (თითოეულისაგან 13 მ.) | 10478 | „ |
| სარგებელი სახელმწიფოს ექვსის მომგებიან ბილეთისა . . | 28 | 50 |
| სარგებელი საკომერციო ბანკიდგან მიღებული წარსულ წელს | 20 | 85 |
| ამ წლის სარგებელი საკომერციო ბანკიდგან | 172 | 79 |
| სარგებელი ვადით შენახულ ბილეთებისა საკომ. ბანკ. . . . | 5966 | „ |
| ამ 1898 წლ. 1-ლ იანვრისთვის არის დარჩენილი . . . . | 137504 | 87 |
| სულ | 157447 | 01 |
| 1-ლ იანვრამდე 1898 წ. დაიხარჯა ტფილისის ვაჭართა მამასახლისის დარბაზის ქირისა და სხვ. . . . . . . | 1867 | 32 |
| კანცელარიისა და სავაჭ. სამან-უფ. კომიტეტის შესანახად . . | 2510 | 18 |
| ექვსი მომგებიანი ბილეთი 1-ლი, 2-რე და 3-მე სესხისა | 1344 | 50 |
| სხვა-და-სხვა ბილეთი ვადიანი საკომერც. ბანკ. | 140000 | „ |
| საკომერციო ბანკში შენახული № 754 წიგნით . . . . . . | 11725 | 01 |
| ყოველ ხარჯის გამორიცხვით 1-ლ იანვარს 1898 წ. ტფილისის ვაჭართა საზოგადოების საკუთრება რჩება ნაღდი | 153,069 | 51 |

ანგარიშის წაკითხვის შემდეგ გადაწყდა, რომ ამორჩეულ იქნეს სარევიზიო კომისია, რომელმაც უნდა გასინჯოს 1896—97 წლების ანგარიში *), ჩვეულებისამებრ დაურიგდათ დამსწრეთ ქაღალდები და დანიშნეს კანდიდატები ყველა თანამდებობაზედ. ყუთების დადგმამდის კრებას მოემატა 17 კაცი. ყუთი სწორედ იმდენი დაიდგა, რამდენიც ასარჩევი იყო, რადგანაც ზოგმა უარი განაცხადა და ზოგისაც თავად არ დადგეს, თითონ ასარჩევი აქ არ იმყოფებაო. მაგალითად, ამ უკანასკნელს ეკუთვნოდნენ ბ-ნი დ. ზ. სარაჯიშვილი და ვასილი ბერელაშვილი, რომლებიც დასახელებულნი იყვნენ ოთხი-ხუთის ხმით. არჩეულ იქმნა მამასახლისად ისევე ბ-ნი ი. დავიდოვი, (65 თეთრი, 2 შავი), იმისს ამხანაგებად: ი. შადინოვი (63 თეთრი, 4 შავი), ი. აკოფოვი (55 თეთრი, 12 შავი). სავაჭრო და სამანუფაქტურო კომიტეტის წევრებად: მ. თამამშოვი (65 თეთრ., 2 შავი), ა. ფრიდონოვი (66 თეთრ., 1 შავი), ა. მანთაშოვი (63 თეთრ. 4 შავი), ა. მილოვი (52 თეთრი, 15 შავი), ფ. ვართაზაროვი (48 თეთრი, 19 შავი) და ნ. კარაპეტოვი (39 თეთრი, 28 შავი). სარევიზიო კომისიის წევრებად: ი. თაიროვი (61 თეთრი, 6 შავი), ფ. ვართაზაროვი (49 თეთრი, 22 შავი) და პ. ალიბეგოვი (56 თეთრი, 11 შავი).

დასასრულ არ შეგვიძლიან რომ არ გამოვთქვათ ჩვენი მწუხარება იმის გამო, რომ ჩვენში და უფრო ჩვენ დედა ქალაქ ტფილისში, ყოველივე საზოგადო საქმე სხვის ხელში გვაქვს ჩაგდებული, და არავითარი საზოგადო საქმე ჩვენს გულს არცა სწვავს და არც ახალისებს. 8 მარტს ტფილისის ვაჭართა კრებაც აშკარად ამტკიცებდა ჩვენს უგულობას, თუმცა ქართველი და რუსი ტფილისში გილდის ამღები 300-ს აღემატება, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ იქ დამსწრეთა შორის სულ 5 ქართველი და ერთი რუსი აღმოჩნდა, დანარჩენი 61 სომეხი იყო.

მეთვალყურე

*) სხვათა შორის, ი. თაიროვმა შეიტანა წინადადება, რომ თანაგრძნობა გამოვუცხადოთ ტფილისში პოლიტეხნიკუმის დაარსების საქმესაო. ხოლო ფულით დახმარების რაოდენობის განსაზღვრა შეიმუშავოს საერთოთ ვაჭართა გამგეობამ, კომიტეტთან ერთად, და შემდეგში მოახდინონ არა-ჩვეულებრივი საზოგადო კრება და მოახსენონ იმათაო.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**სოფ. ჯურუყვეთი,** (გურია). მთელ გურიაში განთქმულია ჯურუყვეთის ტალახი. როცა გურიაში ტალახში დასვრილს კაცს ჰნახავენ, მიაძახებენ ხოლმე: „ჯურუყვეთში იყავი თუ?“ ნესტან დარეჯანი ქაჯებს რომ ჯურუყვეთში დაემალათ, აქედგან ვერავინ წაიყვანდა, თუ ფრთებს არ მოიხსამდა. ჩვენზედ სახარების სიტყვებიც-კი არ სრულდა: „ეძიებდით და ჰპოებდით, ითხოვდით და მოგეცემოთ“. თუ არა ვცდება, ჩემს ხსოვნაში თხუთმეტამდის მაზრის უფროსი და ბოქაული გამოიცვალა და ვერც ერთი ვერ იტყვის, რომ თხოვნით თავი არ შეგვაწუხაო: გზები არ გვიკეთდა და ერთი ჩვენგანიც გამოიხედეთ, მაგრამ თანაგრძნობას ვერ ვეღირსეთ, მხოლოდ ბ-ნმა ალშიბაიამ, გაიგო თუ არა გზების უვარგისობა გაზეთიდგან, ჩამოიარა დასათვალიერებლად და ერთ ადგილას ცხენიანად ტალახის მორევში ისე გაუჭირდა საქმე, რომ თუ არ მიშველებოდნენ, ცუდი საქმე მოუვიდოდა. მაინც-კი ისევ იმ მდგომარეობაშია ჩვენი გზები.

ხან ერთსა ვთხოვთ, ხან მეორეს, ხან მესამეს, მაგრამ არაფერი გვეშველა. ჩვენის მდგომარეობის დასასურათებლად ერთს მაგალითს დავასახელებთ: ამ დღეებში მამასახლისი ს. ნინიძე სადღაც მიდიოდა, გზაზედ ცხენი ტალახში ჩაუვარდა და თუმცა ბევრს ეწვალნენ, მაგრამ ვერ უშველეს საბრალო პირუტყვს და იქავე თქვენი ჭირი წაიღო. არ გვესმის, ამაზედ უარესი იქმნება-ღა რამე?..

ორი წელი იქმნება, რაც ჯურუყვეთის საზოგადოებამ განაჩენი დაადგინა, —ჯურუყვეთის ერთ კლასიანი ნორმალური სკოლა ორ კლასიანად გადაკეთდესო და ახალი შენობა დაიდგას სკოლისათვისაო, მაგრამ, სამწუხაროდ ჯერ-ჯერობით არ განხორციელებულა ეს კეთილი საქმე, თუმცა სკოლის მასწავლებელი ლ. ჩიმაკაძე დიდის გულ მოდგინებით სცდილობს, როგორმე სისრულეში მოიყვანოს და არა ერთხელ მიუმართავს თხოვნით, როგორც სამოსწავლო დირექციის, აგრეთვე ადგილობრივ პოლიციისათვის.

მეკვლე

## რუსეთი

შინაგან საქმეთა სამკურნალო დეპარტამენტში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ სავალდებულო იყოს განსაკუთრებულის ფარმაცევტის ყოლა ყოველ ქალაქის აფთიაქებში.

— მთავარი სამკურნალო დეპარტამენტი აარსებს მკურნალთა განსაკუთრებულს დასს, რომელსაც დაევალება იმ ადგილების შესწავლა-გამოკვლევა, სადაც კეთრით ავადმყოფობა იჩენს ხოლმე თავს.

— მევენახეობისა და ღვინის ხელის მცოდნე კაცთა მოსამზადებლად განზრახვა აქვთ უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებელი დააარსონ რომელსამე ღონის მახლობლად მდებარე ქალაქში. ეს სასწავლებელი დაექვემდებარება მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს.

— გზათა სამინისტროში ლაპარაკია აღძრული იმის შესახებ, რომ საჭიროა გადათვალიერებულ და შემუშავებულ იქმნას აწ არსებული წესები რუსეთის რკინის გზებით ტყვიაწამლის გადატან-გადმოტანის შესახებო.

— საერო-განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ სამინისტროს ქვემდებარე სასწავლებლის მოხელეთა დასათხოვნ არზას 80 კაპ. მარკა უნდა ჰქონდეს ხოლმე დაკრულიო.

## უცხოეთი

**ამერიკის შეერთებული შტატები და ისპანია.** ამ ორ სახელმწიფოთა შორის მომხდარ უთანხმოების დაშოშმინებას ჯერ ჯერობით არაფერი ეშველა და ორივე სახელმწიფო ამ ჟამად ჯარებისა და სამხედრო გემების მზადებაშია. გაზეთების სიტყვით, ამ ბოლოს დროს ინგლისმა გამოიდო თავი და ყოველ ღონესა ხმარობს, რომ ისპანიასა და შეერთებულ შტატებს შორის საქმე მორიგებით, მშვიდობიანად გაათავოს. გაზ. „New-York-Her“-ი იუწყება, რომ როგორც-კი ეს ორი სახელმწიფო გემის „მენის“ აფეთქების საქმის გამო მორიგდებიან, შტატების პრეზიდენტი მაკ-კინლეი წინადადებას მისცემს ისპანიას, რომ კუნძულ კუბას თვით-მმართველობა მიანიჭოს; ხოლო თუ ისპანიამ ამაზედ უარი განაცხადა, მაშინ მაკ-კინლეი თვით აღიარებს კუბის თავისუფლებას და ისპანიისაგან დამოუკიდებლობას, გინდაც რომ ამასომი მოჰყვესო. იგივე გაზეთი ამბობს, რომ მთელი ამერიკა პატრიოტულმა გრძნობამ მოიცვაო. ნიუ-იორკის შტატმა განაცხადა, რომ თუ საჭირო იქმნება 14,000 კაცს გამოგიყვანთ განაპირ-ზღვის დასაცველადაო. არც სხვა შტატები ჩამორჩნენ ნიუ-იორკს, თითქმის ყველამ განაცხადა, რომ ჯარს რამდენსაც მოითხოვთ, იმდენს გამოგიყვანთო. კონგრესის კრების დროს, როდესაც ლაპარაკი სამხედრო საჭიროებისათვის ფულის გადადების შესახებ იყო, ყველა ორატორებმა ის აზრი წარმოსთქვეს, რომ სახელის დასაცველად და რესპუბლიკის დიდებისათვის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის ჯარი, როგორც ერთი კაცი, ისე დადგება ფეხზედაო. კონგრესმა ერთხმად დაადგინა, ჯარისა და ფლოტის გასამლიერებლად და მოსამზადებლად ფული გადასდოს.

—

**კრიტი და ოსმალეთი.** გაზ. „Berl. Tageblatt“-ი იუწყება, ოსმალეთი თანდათან თანხმდება, თუმცა ჯერ გადაჭრით არაფერი უთქვამს, რომ კრიტის გენერალ-გუბერნატორად საბერძნეთის მეფის შვილი გიორგი იქმნას დანიშნულიო. „ეს რამდენიმე დღეა, ამბობს გაზეთი, რომ დამოკიდებულება სულთანსა და რუსეთის ელჩს შორის შეიცვალა. რუსეთის ელჩი რამდენჯერმე მიიღო სულთანმა სასახლეში. ჰფიქრობენ, რომ სულთანი წინააღმდეგობას აღარ გაუწევს მეფის შვილის გიორგის ან რუსეთის მიერ დასახელებულ სხვა კანდიდატურასო“. იმავე გაზეთის სიტყვით, ევროპის სახელმწიფოთა შორის მოლაპარაკება ეხლა მხოლოდ იმის შესახებაა, თუ რა წესრიგით უნდა მოხდეს მეფის შვილის გიორგის კრიტის გენერალ-გუბერნატორად დანიშვნა. ერთის პროექტის ძალით, ეს საქმე ორ სახელმწიფოს-რუსეთსა და საფრანგეთს უნდა მიენდოს, ხოლო მეორე პროექტის—რუსეთსა, საფრანგეთსა და ინგლისსა. ამ სახელმწიფოთ უნდა ჩააბარონ კუნძული კრიტი გიორგის და ყოველ გვარი დახმარება აღმოუჩინონ კუნძულის მმართველ-გამგეობის საქმეშიო.

—

**იაპონია.** გაზ. „Polit. Corr.“-ი იუწყება, რომ იაპონია ამ ჟამად დიდს სამხედრო მზადებაშიაო. ამ დღეებში შესდგა უმაღლესი სამხედრო საბჭო, რომლის თავმჯდომარეთაც თვით იმპერატორია, ხოლო წევრებად ფელდმარშლები და ადმირალები. გენერალი კაკამი, რომელმაც შარშან საშუალო აზიაში იმოგზაურა, მთავარ-შტაბის უფროსად იქმნა დანიშნული. გარდა ამისა, აზრადა აქვთ იაპონიის შვიდი დივიზია, რომელშიაც სულ 150,000 ჯარის კაცი ირიცხება ხელ ახლა შეაიარაღონ საუკეთესო თოფებითო.

—

**ავსტრია.** როგორც უწყიან მკითხველებმა, გაუჩის სამინისტრომ ვერ შესძლო ავსტრიის აწეწილს შინაურის საქმეების დალაგება და თანამდებობას თავი გაანება. ეს სამინისტრო სულ ორი თვე და რამდენიმე დღე არსებობდა. აშკარაა აქედგან, რა ახლართულ-დახლართულია ავსტრიის საქმეები, თუ გაუჩის სამინისტრომ, რომლისაგანაც ხსნას მოელოდნენ, ორის თვის მეტი ვერ გასტანა. ეხლა ყველას ყურადღება ახალ მინისტრ პრეზიდენტის გრაფ ფრიდრიხ ტუნ-გოგენშტეინისაკენ არის მიქცეული და ყველა იმისაგან მოელის ავსტრიის საქმეთა დალაგებას, სწორედ ისე, როგორც წინად ბარონ გაუჩისაგან მოელოდნენ. თუმცა გრაფმა ტუნმა მინისტრებად სხვა და სხვა დასის მომხრეები მოიწვია, მაგრამ, როგორც გაზეთები იუწყებიან, ეს სამინისტროც ვერ გასტანს დიდ ხანს და მალე იძულებული გახდება ფარ-ხმალი დაჰყაროს. ახალი მინისტრ პრეზიდენტი გრაფი ტუნი დაიბადა 1847 წელს, მაშასადამე, ამ ჟამად 51 წლის კაცია. ახალგაზდობაში სამხედრო სამსახურში მსახურებდა. 1879 წელს ბოგემიის ფეოდალების მიერ ავსტრიის პარლამენტის დეპუტატად იქმნა არჩეული, ხოლო შემდეგ ბოგემიის სეიმის წევრად. ამ ორსავე დაწესებულებაში გრაფი ტუ-

ნი მტკიცედ იცავდა ფეოდალთა ინტერესებს. 1880 წელს ბოგემიის მთავარ-მართებლობა ჩააბარეს. გაზ. „Journal des Debats“-ის სიტყვით, გრაფი ტუნი თავით ფეხამდე ნამდვილი არისტოკრატია. უველაზედ მაღლა ის სამხედრო სამსახურს და სამხედრო მუნდირს აყენებსო. ტუნი თუმცა შთამომავლობით ჩეხია, მაგრამ ამ ჟამად ნემეცობს. იმავე გაზეთის სიტყვით, ახალი მინისტრ-პრეზიდენტი მოხერხებული და მაგარი ხასიათის კაციაო.

## ნაკვესი

— ბნო მარიამ, ისე მიყვარხართ, რომ მზადა ვარ მთელი ჩემი სიცოცხლე თქვენთვის გიტანჯო.

— ახ, ეგ რომ მართალი იყოს!

— გეფიცებით!

— მაშ შემირთეთ.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ამ წლის 10 იანვარს ენისეის გუბერნიაში (ციმბირში) ერთს ალაგას მუშებს უპოვნიათ მიწაში, 22 არშინის სიღრმეზედ ერთი დიდი ნაჭერი ოქრო, წონით 1 ფუთი, 34 გირვანქა და 6 მისხალი. მთელს ციმბირში ამაზედ დიდი ნაჭერი ოქრო ჯერ არ უპოვნიათ.

ტომსკის უნივერსიტეტის პროფესორს ზაიცევს უთქვამს, რომ ამ დიდ ნაჭერ ოქროს პოვნა ამტკიცებს, რომ მახლობლად დიდ-ძალი ოქრო უნდა იყოსო.

* * *

ადამიანის თვალი ისეა გამართული, რომ რასაც ჰხედავს კაცი, იმის სურათი თვალის კაკალზე გადმობრუნებული იხატება, სწორედ ისე, როგორც ფოტოგრაფიის მანქანაში. აშკარაა, რომ ამიტომ ადამიანი რასაცა ჰხედავს, ყველაფერი გადმობრუნებული უნდა ეჩვენოს, მაგრამ ჩვენ-მაინც ისე ვხედავთ საგანს, როგორც არის. როგორა ჰხდება ესა? რა არის მიზეზი, რომ ყველა საგანს, რომელიც თვალის კაკალზე გადმობრუნებული იხატება, სწორედა ვხედავთ. აქამდე ზოგი ამბობდა, რომ ნერვები, რომლებიც ტვინს გადასცემენ სურათს, ისეა გადახლართული, რომ თვალის კაკალზედ აღბეჭდილ სურათს აბრუნებენო და ამიტომა ვხედავთ სწორედო. ზოგი-კი ამტკიცებდა, რომ, თუმცა ნამდვილად გადმობრუნებულსა ვხედავთ ყველა საგანს, მაგრამ თანდათან ვეჩვევით სწორედ დანახვასაო.

ეხლა-კი კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა სტრეტონმა დაამტკიცა მეორე მოსაზრების სიმართლე. დასამტკიცებლად ამ მოსაზრებისა პროფესორმა შემდეგს უბრალო საშუალებას მიჰმართა. გაიკეთა სათვალეები, რომელსაც ჩვეულებრივ შუშის მაგიერად ორთავე მხრიდგან ამობერილი შუშები ჰქონდა. ამ შუშების წყალობით, რა თქმა უნდა, ყოველსავე საგნის სურათი თვალის კაკალზედ სწორედ აღიბეჭდებოდა, მაგრამ პროფესორი-კი გადმობრუნებულს ხედავდა. რვა დღეს იყო ასე. შემდეგ-კი სტრატონი ისევ ისე სწორედა ხედავდა საგნებს, როგორც ჩვენ ვხედავთ. მერე პროფესორმა მოიხსნა სათვალეები და ისევ ისე გადმობრუნებულსა ჰხედავდა ყოველს საგანს. ამ გვარად ნათლად დამტკიცდა, რომ ადამიანი საგნებს სწორედ-კი არა ჰხედავს, არამედ გადმობრუნებულს. ასე უნდა ჰხედავდეს პირველად ბავშვი, მაგრამ მალე ეჩვევა საგნების სწორედ დანახვას.

## წერილი რედაქციის მიმართ

„ივერიის“ მე-40 №-ში დაბეჭდილია ბ. კალანდაძის წერილი ჩემ შესახებ და რადგანაც ჩემგან პასუხს ითხოვს, ამით ვისწრაფვი მალე დავაკმაყოფილო ი. კალანდაძე. „კულტურა კაცობრიობისა“ მე-კი არ შემიდგენია, მხოლოდ დაიბეჭდა ჩემი თარგმანი ლიპპერტის თხზულებისა: „Культура“. „შედგენასა“ და თარგმანს შუა დიდი განსხვავებაა. ფული თუ „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სახელობაზედ გაჰგზავნა ი. კალანდაძემ, იმავე საზოგადოებას მოჰკითხოს ან პასუხი რამე, ან ჩემი წიგნი, ან ფული, მე აქ აბა რა შუაში ვარ, არ მესმის? ჩემთვის რომ გამოეგზავნა ფული, მაშინ, რასაკვირველია, პასუხის მგებელი მე ვიქნებოდი.

შვიდ-შაურად ვიყიდე პირველი წიგნიო,— რა ვუყოთ მერე, რომ ასე იაფად უყიდნია ჩემი თარგმანი?.. ერთხელ ტფილისში, იარმუკობის დროს, ვიღაც უცნობ კაცისაგან ვიყიდე დავით ჩუბინაშვილის ქართულ-რუსული ლექსიკონი ექვს აბაზად და ვინ არ იცის ჩვენში, რომ ამ ლექსიკონს ფასი რვა მანეთი ადევს. ამ შემთხვევაში რა პასუხს მოელის ი. კალანდაძე, ვერ მივხვდი. მეორე და მე'სამე წიგნი რომ ჯერ დაბეჭდილი არ არის, ამისი მიზეზი ის გახლავთ, რომ აქამდის ჯერ არ შეგროვდა იმდენი ფული, რომ პირველის წიგნის დაბეჭდვის ხარჯი გაესტუმრებინა და აბა უფულოდ ვინ, სადა და რას დაჰბეჭდავს. ჩვენდა, ქართველთა სამარცხვინოდ უნდა ვსთქვათ, რომ შაურ-აბაზ-ათშაურიანი წიგნაკები და ზღაპრები მალე იყიდება ჩვენს საზოგადოებაში და ჩემის თარგმნის მსგავსი წიგნები-კი მაღაზიებში ლპება და არავინ კითხულობს.

ჩემის პასუხით ი. კალანდაძე, მგონია, კმაყოფილი უნდა დამრჩეს, რადგან თვითონაც კარგად მოეხსენება, რა ძნელი საქმეა ჩვენში წიგნის დაბეჭდვა და გასყიდვა, რომ გამომცემელმა დროზედ გაინაღდოს თავისი ხარჯი.

კონსტანტინე ყიფიანი

## დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

8 მარტი

**პეტერბურგი.** 7 მარტს, დედოფალი იმპერატრიცა მარია თეოდორეს ასული დანიაში წაბრძანდა. მათი უდიდებულესობა გააცილეს ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავრებმა და მთავრინებმა. დედოფალს თან ახლავს გენერალ-ადიუტანტი თავადი ბარიათინსკი.

დიდი მთავარი მიხეილ ალექსანდრეს ძე და დიდი მთავრინა ოლგა ალექსანდრეს ასული გადავიდნენ საცხოვრებლად გატჩინოს სასახლეში.

ხელმწიფე იმპერატორმა და დედოფალმა იმპერატრიცამ მარია თეოდორეს ასულმა უავგუსტოეს შვილებითურთ ჰნახეს ღვთივ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მე-Ш სამარე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა დაადგინა: შეჩერებულ იქმნას გაზეთების „Одесскій Листокъ“-ისა და „Одесскія Новости“-ს გამოცემა ერთის თვის, ხოლო გაზ. „Донская Рѣчь“-ისა — ორის თვით.

**იოკაჰამა.** იაპონიის არჩევანების დროს მთავრობის მომხრეთა მცირე უმრავლესობა ამოარჩიეს.

**პარიჟი.** სენატის საფინანსო კომისიამ, 12 ხმით 8 ხმის წინააღმდეგ, მიიღო ფლერი-რავარენის აზრი, რომელიც ფულის ბაზრის საქმეში სხვა წეს-რიგის შემოღებას შეეხება.

9 მარტი

**პეტერბურგი.** ბიულეტენი. სრულიად წესიერად სწარმოებს ჯანმრთელობა დიდის მთავრინა მილიცა ნიკოლოოზის ასულისა მშობიარობის შემდეგ, ხოლო ჯან-მრთელობა დაბადებულის ბავშვისა საშიშს მდგომარეობაშია სისუსტისა გამო.

**კურსკი.** შუაღამის პირველს საათზედ მონასტერში აფეთქდა ნივთიერება, რომელიც ვიდასაც ყოვლად წმ. ღვთის-მშობლის სასწაულთმომქმედ ხატის საჩრდილობელში დაედო. დაინგრა: საჩრდილობელი, სასანთლე, შუშბი დაიმტვრა ფანჯრებისა და კარებისა, კედლები დასქდა. როგორც ნივთიერების კოლოფს ეტყობა, საათის ჩარხით ყოფილა მომართული. უფალმა და ღვთისმშობელმა დაიცვეს წმიდა ხატი ხელ-შეუხებლად და დაუზიანებლად. ეკკლესია სავსეა მლოცველებით.

**ბელგრადი.** მეფე ალექსანდრეს სუბუქად სახდელი წითელა შეხვდა.


## განცხადებანი

ე. ფ. აუფერმანის

**მანქანათა საწყობი**




ტფილისში

აცხადებს, რომ ბერლინის გ. ფ. ეკკერტის ქარხნისა და ოდესის ი. ი. გენის ქარხნის ფოლადის გუთნები ამ სეზონში გაიყიდება

**ქალაქ სიღნაღში**

ამირან სერგეის ძე შაერდოვთან შავერდოვის ქარვასლაში, ზემო ბაზარში. (10—39—7)

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ 16 **მარტს გამგეობის სადგურში საჯარო ვაჭრობაა დანიშნული**

**იმ ყანთარის იჯარით გასაცემად,**

რომელიც მე-10 ნაწილშია, ავჭალის ქუჩაზედ.

დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება მუდამ დღე გამგეობაში, უქმე დღეებს გარდა, 12 საათიდგან 2 საათამდე. (2—6.—1)

„წერა-კითხვის საზოგადოების“

**წიგნის მაღაზიაში**

ისყიდება შმდგი წიგნები:

საქართველოს ისტორიისა და მწერლობის შესახებ.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ქართლის ცხოვრება I წიგნი გამოცემა ზ. ჭიჭინაძისა . . . . . | „ | 40 |
| ლექსები ანტონ ფურცელაძისა ფასი . . . | „ | 40 |
| ვეფხვის ტყაოსანი სურათებიანი მშვენიერის ყდით | 10 | „ |
| ქ. ნიკოლაძის ნაწერები . | „ | 30 |
| კეთილი ძაღლი . . . | „ | 20 |
| თხზულ. მამია გურიელისა | 1 | „ |
| ქრონიკები თ. ჟორდანიასი | 3 | „ |
| ისტორიული ნარკვევი, ალ. ჭყონიასი . . . . | 1 | 50 |
| ნ. ნიკოლაძე. ბიოგრაფია | „ | 20 |
| აკაკი წერეთელი. ბიოგრაფია . . . | „ | 15 |
| ამირან-დარეჯანიანი . | 1 | „ |
| ჩვენი ახალი მწერლობა სალარაძისა . . . , | „ | 40 |
| ბუნება და ცხოვრება ი. ალხაზიშვილისა . . | „ | 60 |
| გედები. საყმაწვილო წიგნი | „ | 20 |
| პარტახი მოთ. ნინოშვილისა . . . . . . . | „ | 20 |
| ორი ეტიუდი . . . . . | „ | 20 |
| როგორა ცხოვრობდენ ადამიანები ძველად . . | „ | 25 |
| სახალხო ლექსები და ლეგენდები . . . | „ | 20 |

## ასპინძის ომი,

ისტორიული ამბავი, იაკობ გოგებაშვილისა, გამოცემა მეორე, მეფე ერეკლეს პარტრეტით და ქარტით. ფასი ორი შაური.

**მეფე ერეკლე და ინგილო ქალი**

ისტორიული მოთხრობა მისივე, ორი სურათით, ფასი ერთი შაური.

იყიდება ყოველს წიგნის მაღაზიაში აქეთა და იქითა საქართველოში. (4—3)

## ა ნ გ ა რ ი შ ი

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

1 თებერვალს 1898 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**ა ქ ტ ი ვ ი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | საზოგადოების კასსა . . . . . . . . | 2756 | 97 |
| II. | მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში . . . . . . . . . . . . . | 118 | 58 |
| III. | „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში . . . . . . . . | 7719 | 47 |
| IV. | განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი . . . . . . . . . | 160738 | 30 |
| V. | განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. . . . . . . . . | 315 | 67 |
| VI. | გირაოთი გაცემული სესხი: | | |
| | ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. . . . . 623— 70 | | |
| | ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღალ. 3047— — | | |
| | გ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 4532— 73 | 8203 | 43 |
| VII. | დასაბრუნებელი ხარჯი . . . . . . . | 183 | 11 |
| VIII. | მოწყობა-მომართვა . . . . . . . | 883 | 72 |
| IX. | გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი . | 15 | 96 |
| X. | სხვა-და-სხვა დებიტორები . . . . . . | 368 | 45 |
| XI. | მიმდინარე ხარჯი . . . . . . . . . | 2499 | 29 |
| | ს უ ლ | 183802 | 95 |

**პ ა ს ს ი ვ ი.**

| | | მან. | კაპ. |
|---|---|---|---|
| I. | თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 592 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან. . . . . . . . . . . . | 63781 | — |
| II. | შემოტანილი ფული: | | |
| | ა) მიმდინარე ანგარიშით . . . 36637—53 | | |
| | ბ) ვადით . . . . . . . . 30700—— | | |
| | გ) უვადოდ . . . . . . . . 20890—— | 88227 | 53 |
| III. | სარგებელი განსაკუთრებულის მიმდინარე ანგარიშისა აზოვო-დონის საკომერციო ბანკის ტფილისის განყოფ.. . . . . . . . . . . | 7 | 12 |
| IV. | გარდასაცემი თანხა . . . . . . . . | 2465 | 50 |
| V. | გარდასახდელი სარგებელი . . . . . . | 648 | 20 |
| VI. | გადაგირავება თამასუქებისა. . . . . . | 24600 | — |
| VII. | სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა . . . . . . . . . . | 127 | 09 |
| VIII. | მიღებული სარგებელი, გარდახდილს გარდა . . | 1543 | 32 |
| IX. | წმინდა მოგება 1897 წლისა . . . . . . | 2403 | 19 |
| | ს უ ლ | 183802 | 95 |
| | პასუხის-მგებლობა 592 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა . . . . . . . . . . | 574029 | — |
| | საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება . . . . . . . . . . . . | 6900 | — |
| | თამასუქები საკომისიოდ . . . . . . . . | 950 | — |

(1—6.—1)


Дозволено цензурою, Тифлисъ 9-го Марта 1898 г.

სტამბა მ. შარაძისა და ა მხახაკობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.